

საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვლევის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

კვლევა განხორციელდა ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) მიერ „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ



სარჩევი

1. შესავალი	4
2. კვლევის მოქმედების სფერო და მეთოდოლოგია.....	5
2.1 მოქმედების სფერო	5
2.2 მეთოდოლოგია.....	6
2.3 კვლევის ძირითადი მიგნებები.....	7
ნაწილი 1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შეფასება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან მიმართებაში	8
1.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონის მოქმედების სფერო	8
1.2 მონაცემთა დამუშავების პრინციპები	9
1.3 მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი	9
1.4 სამართლიანი დამუშავების პრინციპის შესრულება.....	11
1.5 მონაცემთა უსაფრთხოება.....	13
1.6 შესაბამისობა	14
1.7 მონაცემთა დაცვის დამუშავების კონტროლი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ	14
1.8 რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, მიგრაციის მართვის კუთხით	15
ნაწილი 2 მიგრაციის მართვის დარგობრივი კანონმდებლობის შეფასება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის და კონვენციის მოთხოვნებთან მიმართებაში.....	16
2.1 საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის შესახებ“	17
2.2 საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.....	18
2.3 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“	19
2.4 საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“	20
2.5 საქართველოს კანონი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“	21
2.6 საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“	22
2.7 საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“	23

2.8 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ.....	24
ნაწილი 3 პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრაქტიკა მიგრაციის მართვის პროცესში	25
3.1 ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სააგენტო)	25
3.1.1 მიმოხილვა.....	25
3.1.2 დაკვირვებები.....	25
3.1.3 რეკომენდაციები.....	27
3.2 საგარეო საქმეთა სამინისტრო (სსს)	28
3.2.1 მიმოხილვა.....	28
3.2.2 დაკვირვებები.....	28
3.2.3 რეკომენდაციები.....	30
3.3 შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)	31
3.3.1 მიმოხილვა.....	31
3.3.2 დაკვირვებები.....	32
3.3.3 რეკომენდაციები.....	33
3.4 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	34
3.4.1 მიმოხილვა.....	34
3.4.2 დაკვირვებები.....	34
3.4.3 რეკომენდაციები.....	36
4. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია „საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვლევის ანგარიშის მოკლე მიმოხილვის“ შესახებ.....	37

1. შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვამ სულ ახლახან მოიპოვა დიდი გამოხმაურება და ყურადღება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან, თუმცა საქართველოში ის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. 2006 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციას პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (შემდგომში „კონვენცია“)¹, თუმცა კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მხოლოდ 2012 წლის 1 მაისს შევიდა ძალაში. ამას მოჰყვა 2013 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნა.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, რომელიც ამ კანონს გააჩნია, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში ის თანხვედრაშია თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ძალაში შევიდა მის შესასრულებლად საკმაოდ არასახარბიელო პერიოდსა და გარემოში:

- საზოგადოების დაბალი ცნობადობის გამო მსგავსი უფლებებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ფაქტიურად არ არსებობდა მოთხოვნა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე;
- არ არსებობდნენ საჯარო მოხელეები და სამართლის სპეციალისტები, რომლებსაც ამ საკითხების სიღრმისეული ცოდნა ექნებოდათ;
- კარგად ჩამოყალიბებული ელექტრონული მმართველობა შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც საჯარო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები არ არსებობდა;
- ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ მზაობა გამოეყოს კანონის შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები;
- არ არსებობდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მომუშავე აქტივისტები და ადვოკატები;
- ინსპექტორის ოფისი ჩამოყალიბების საკმაოდ ადრეული სტადია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიგრაციის მართვის კონტექსტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ეხება მოქალაქეების დიდ ნაწილს, ისევე როგორც პროცესში მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. იმავე დროს, მიგრაციის მართვის პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე, როდესაც მასში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რამდენიმე სამინისტრო მონაწილეობს, პერსონალურ მონაცემთა დაცვა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

2013 წლის ბოლოსთვის მიგრაციის მართვის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით რიგი გამოწვევები გამოიკვეთა: არცერთ სამინისტროს არ ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები (2013 წლის ბოლოსთვის მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავდა, რომ პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების პროცესში იყო და უახლოეს მომავალში იქნებოდა მიღებული).

იმის გათვალისწინებით, რომ კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საკმაოდ ზოგადია, საჯარო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტიზის სიმცირე აღინიშნება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ახლად შექმნილია და აქვს შეზღუდული რესურსები, ამ ანგარიშის ამოცანაა შეაფასოს საქართველოში მიგრაციის მართვის პროცესში

¹ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენცია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსებული მდგომარეობა, ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლო გზები და რეკომენდაციები.

2. კვლევის მოქმედების სფერო და მეთოდოლოგია

2.1 მოქმედების სფერო

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ, მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე საბაზისო კვლევის განსახორციელებლად. კვლევის ძირითად ამოცანა იყო პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონის გავლენის შესწავლა და ანალიზი მიგრაციის მართვაზე საქართველოში; კვლევას შედეგად უნდა წარმოედგინა სტატისტიკური მდგომარეობის (2014 წელს) და განვითარების დინამიკის (სიტუაცია 2014 წელს და მანამდე პერიოდში) ანალიზი, რათა შეესწავლა, რამდენად არის მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონთან და პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციასთან თანხვედრაში, გამოველინა არსებული ხარვეზები და პრაქტიკის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

კვლევას უნდა მოეცვა მიგრაციის მართვის ყველა ასპექტი, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტები და პრაქტიკა. შესწავლილი დაწესებულებები და პროცესები მოცემულია ქვემოთ:

დაწესებულება	პროცესი
ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი)	<ol style="list-style-type: none"> 1. ბინადრობის ნებართვის გაცემა 2. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭება 3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა 4. პასპორტის გაცემა 5. საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები 6. უცხოელთა საქართველოდან გასვლის გადავადება
შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და მიგრაციის დეპარტამენტები	<ol style="list-style-type: none"> 7. უცხოელთა საქართველოდან გაძევება 8. სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ვიზის გაცემა 9. საზღვრის კონტროლი (საზღვრის კვეთის მონაცემთა ბაზა) 10. რეადმისიის მართვა 11. არალეგალური მიგრაციის გამოვლენა, დაკავება და არალეგალ მიგრანტთა განთავსება²
საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი	

²მხოლოდ პროცესები 9 და 10 იქნა შეფასებული, ვინაიდან სხვა პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ იყო მოწოდებული

	12. ვიზის გაცემა 13. საქართველოს მოქალაქისთვის დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა 14. საკონსულო აღრიცხვა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	
	15. ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის მინიჭება 16. რეპატრიანტის სტატუსის განსაზღვრა 17. რეინტეგრაციის პროცესის მართვა

კვლევამ მოიცვა კანონის მიღებიდან 2014 წლის დეკემბრამდე პერიოდი. თუმცა, ვინაიდან ზოგ კითხვარზე პასუხი მიღებული იქნა 2015 წლის პირველ კვარტალში, რიგი საკითხები შეიძლება მოიცავდეს 2015 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობას.

კვლევისას გამოყენებული მასალა:

- მხოლოდ ოფიციალურად მიღებული ინფორმაცია და პასუხები იყო გამოყენებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სიტუაციის საბაზისო შეფასებისთვის; არაოფიციალურად მიღებული ინფორმაცია მხოლოდ დამატებითი განმარტებების მიღების საფუძველი იყო, თუმცა არ ყოფილა მოსაზრების ჩამოყალიბების საფუძველი;
- კვლევაში მონაწილე დაწესებულებები კვლევას აღიქვამენ როგორც შესაძლებლობას დაინახონ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ერთიანი სურათი თავიანთ დაწესებულებებში და შესაბამისად მათ მიერ მოწოდებული პასუხები სრული სიზუსტით გამოირჩევა;
- კონფიდენციალური დოკუმენტების გამხელა ვერ მოხერხდებოდა დაწესებულებების მიერ და მათი არსებობის/შინაარსის შესახებ ინფორმაცია დაეყრდნო მხოლოდ სათანადო დაწესებულებებიდან მიღებულ პასუხებს, გადამოწმების გარეშე;
- ამ კვლევაში მოცემული შეფასებები და რეკომენდაციები მიგრაციის მართვის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესებისთვის არის მომზადებული და არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივ რჩევად.

2.2 მეთოდოლოგია

კვლევისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდები იყო გამოყენებული. კვლევის ძირითადი ამოცანა იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რიგი დოკუმენტების/პროცედურების არსებობის დადგენა, მათი შინაარსისა და პრაქტიკაში გამოყენების შესწავლა; შესაბამისად, ვინაიდან ეს მოითხოვს უფრო აღწერითი ხასიათის ინსტრუმენტებს და შინაარსის სიღრმისეულად გარკვევას, ამან განაპირობა თვისებრივი მიდგომების გამოყენება. პროცესში სხვადასხვა ინსტრუმენტი იყო გამოყენებული: სამაგიდო კვლევა, კითხვარები, ინტერვიუები, ექსპერტებთან კონსულტაციები, ჯგუფური განხილვები და პირდაპირი დაკვირვება.

2.3 კვლევის ძირითადი მიგნებები

ქვემოთ მოცემულია კვლევის ძირითადი დისკუსიები და მიგნებები, შემდეგი სტრუქტურით:

- ნაწილი I პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის ანალიზი პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან მიმართებაში
- ნაწილი II მიგრაციის მართვის დარგობრივი კანონმდებლობის ანალიზი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან და ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციასთან მიმართებაში
- ნაწილი III პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრაქტიკა მიგრაციის მართვის პროცესში

ნაწილი 1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შეფასება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან მიმართებაში

ამ ნაწილის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „საქართველოს კანონი“) შედარება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან. ეს თავი მიმოიხილავს, რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია მიგრაციის მართვასთან.

ამ თავში საორიენტაციოდ შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები არის გამოყენებული:

- ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეც არის საქართველო,
- პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ევროკავშირის დოკუმენტები,
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციები.

ძირითადი დოკუმენტი, რომელთან მიმართებაშიც საქართველოს კანონია გაანალიზებული არის ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია³ (შემდგომში კონვენცია) რომლის მონაწილე მხარესაც წარმოადგენს საქართველო.⁴ კონვენცია ადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უფრო მაღალი სტანდარტები დანერგონ.

1.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონის მოქმედების სფერო

საქართველომ პირველი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მიიღო 2011 წელს⁵. ის არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ავტომატური და ნახევრად-ავტომატური, ისევე როგორც არა-ავტომატური საშუალებებით, თუ ის ფაილური სისტემის ნაწილია⁶. საქართველოს კანონის მესამე მუხლის მოქმედება არ ვრცელდებოდა მთელ რიგ სფეროებზე, მათ შორის თავიდან პოლიციასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. კონვენცია ასეთ გამონაკლისს უშვებს მესამე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში.

2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით⁷, საქართველოს კანონის მოქმედების სფერო გაიზარდა. მიგრაციის მართვის კუთხით მნიშვნელოვანია ცვლილება, რომელიც რიგი გამონაკლისებით, ეხება მონაცემთა დამუშავებას დანაშაულთან ბრძოლის მიზნით. შედეგად, საქართველოს კანონი ახლა ფარავს „მონაცემთა ავტომატურ დამუშავებას, რომლებსაც სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი აქვთ მინიჭებული, დანაშაულის პრევენციისა და სამძებრო, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების

³CoE, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, , CETS No.108, 1981
CoE, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, , CETS No.108, 1981
ble from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

⁶ A “filing system” is a “structured set of data where information is arranged and thus accessible according to specific criteria” (Art. 2 (n) of the Georgian PDP Law)

⁷ Law of Georgia No 2636 and No 2639 of 1 August – available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457307> and <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2455851> respectively

გატარებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის მიზნით”⁸. საქართველოს კანონის ზოგადი გავრცელება პოლიციის მიერ განხორციელებულ საოპერაციო და სამძებრო საქმიანობაზე დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს და ამით ქართული საკანონმდებლო ჩარჩო თანხვედრაში მოდის ევროსაბჭოს რეკომენდაციასთან #(87)15.

1.2 მონაცემთა დამუშავების პრინციპები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული კანონის არსი გადმოცემულია კონვენციის მე-5 მუხლში:

პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას:

- a. მიღებული და დამუშავებული უნდა იყოს პირდაპირი და კანონიერი გზით;
- b. შენახული უნდა იქნას ზუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი გზით;
- c. უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და არ უნდა აღემატებოდეს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი ინახება;
- d. უნდა იყოს ზუსტი და საჭიროებისამებრ განახლებადი;
- e. დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისათვის.

იგივე პრინციპები მოცემული არის ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-6 მუხლში და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების მეორე ნაწილში, თუმცა ნაწილობრივ განსხვავებული ფორმულირებით.

საქართველოს კანონის მე-4 მუხლში მოცემული პრინციპები თანხვედრაშია კონვენციის მე-5 მუხლში მოცემულ პრინციპებთან (და ევროკავშირის დირექტივის მე-6 მუხლთან). პირველი პრინციპი, რომ პერსონალური მონაცემები „დამუშავებული უნდა იყოს სამართლიანად და კანონიერად“ მოცემულია კონვენციის მე-5 მუხლის ა ქვეპუნქტში და საქართველოს კანონის მე-4 (ა) მუხლში. კონვენციის მე-5 (ბ) მუხლი და საქართველოს კანონის მე-4 (ბ) მუხლი ეხება განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე მონაცემების დამუშავების პრინციპს, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული კანონის კიდევ ერთი ქვაკუთხედაა.⁹

კონვენციისა და სხვა დოკუმენტების დამატებითი პრინციპები მოიცავს: (1) დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიების შეზღუდვას მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისთვის და (2) ზუსტი მონაცემების შენახვის ვალდებულებას, სადაც საჭიროა განახლებული სახით. ეს პრინციპები განმეორებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონის მე-4 (გ), (დ) მუხლში.

1.3 მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი

პრინციპი, რომელიც ამბობს, რომ პერსონალურ მონაცემთა ნებისმიერი დამუშავება უნდა იყოს კანონიერი, მოითხოვს, რომ დამუშავების ყველა შემთხვევა ეფუძნებოდეს კანონით

⁸Only Art. 6 shall not be applicable “where the issue is directly and specifically regulated under the Criminal Procedure Code of Georgia or under the Law of Georgia on Operational - Investigative Work or other special laws” (Art. 3 para.6 of the PDP Law)

⁹ Art. 5 (e) of Convention 108 and Art. 4 (e) of the Georgian PDP Law

გათვალისწინებულ საფუძველს. საჯარო სექტორში მონაცემთა დამმუშავებლისთვის ასეთი საფუძველი არის ვალდებულება, ან მინიმუმ კანონით განსაზღვრული ნებართვა. მაშინ, როდესაც კონვენცია ადგილობრივ კანონმდებლობას უტოვებს უფლებას დაადგინოს, როდის არის პერსონალურ მონაცემთა დამმუშავება კანონიერი, ევროდირექტივამ პირველად ევროპულ კანონში ცადა განესაზღვრა შემთხვევები, როდესაც დამმუშავება კანონიერია.¹⁰ შესაბამისად, გონივრული იქნება შედარება მოვახდინოთ სწორედ დირექტივის წესებთან. საქართველოს კანონი ითვალისწინებს ევროდირექტივის ამ მუხლებს, თუმცა რიგი განსხვავებებით.

საქართველოს კანონი განასხვავებს „პერსონალურ მონაცემებსა“ და „განსაკუთრებული კატეგორიის („სენსიტიურ“) მონაცემებს“; თუმცა სენსიტიური მონაცემების წრე უფრო ფართოა, ვიდრე ევროდირექტივაშია მოცემული. მიუხედავად ამისა, დირექტივის მე-7 და მე-8 მუხლების და საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების ერთმანეთთან შედარება შესაძლებელია.

კვლევაში მონაწილე საჯარო დაწესებულებებში პრობლემები არასენსიტიურ პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების კანონიერ საფუძვლებთან დაკავშირებით არ ყოფილა აღნიშნული. ასეთი დამმუშავება როგორც წესი ეფუძნება კანონის მე-5(გ) მუხლს (მონაცემთა დამმუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად), ან მე-5(ზ) მუხლი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად, ან მუხლი 5(თ) (მისთვის მომსახურების გასაწევად).

წარმოშობილი გამოწვევები ძირითადად ორიენტირებულია „განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების“ დამმუშავების კანონიერი საფუძვლის პოვნასთან. შემთხვევები იქნა გამოვლენილი, სადაც მონაცემთა დამმუშავება აუცილებელი იყო, თუმცა შესაბამისი დებულებები ვერ იძებნებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონის მე-6 მუხლში. აქ იკვეთება მე-8 მუხლის 4 დებულების მსგავსი ჩანაწერის არ არსებობა, რომელიც ამბობს, რომ სენსიტიური მონაცემების დამმუშავების დამატებით შემთხვევები შესაძლოა იყოს გათვალისწინებული კანონით, სადაც მათი დამმუშავება ხდება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვისთვის და იმ პირობით, რომ მონაცემთა დაცვის სუბიექტისთვის სათანადო დაცვის მექანიზმებია უზრუნველყოფილი. შეიძლება მსჯელობა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი შეიძლება შეიცვალოს ან გაძლიერდეს უფრო გვიან მიღებული სამართლებრივი დებულებებით, თუმცა ეს სრულად ვერ წყვეტს აღნიშნულ პრობლემას. სენსიტიური მონაცემების დამმუშავების კანონიერ საფუძვლებთან დაკავშირებული სპეციალური მუხლი ზღუდავს სენსიტიური მონაცემების კანონიერ დამმუშავებას და ამით ხელს უშლის კანონმდებლობის მიერ სენსიტიურ მონაცემთა დამმუშავების დამატებითი არადისკრიმინაციული შემთხვევების შექმნას. ამ ფუნქციის შესრულება ვერ ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქართველოს კანონის მე-6 მუხლით.

ვინაიდან მიგრაციის მართვა დაკავშირებულია საზოგადო წესრიგის შენარჩუნებასთან, რიგი აქტივობები ამ მიმართულებით შეიძლება იყოს „პოლიციური მოქმედებები“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ევროსაბჭოს რეკომენდაცია (87)15, რომელიც ადგენს, თუ როგორ უნდა იყოს 108-ე კონვენციის ზოგადი პრინციპები გამოყენებული პოლიციურ საქმიანობაში.¹¹ ის ადგენს სიახლეს, რომ მონაცემთა ნებისმიერი შეგროვება, რომელიც არ ემსახურება რეალური საფრთხის პრევენციას ან

¹⁰ Articles 7 and 8 of the EU Directive must be considered to be examples of good practice

¹¹ <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2196553&SecMode=1&DocId=694350&Usage=2>

სპეციფიური სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთას უნდა იყოს გამონაკლისი წესიდან და საჭიროებს სპეციალურ კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (გ) და (ზ) ქვეპუნქტები შეზღუდულია ამ სპეციფიურ კონტექსტში.

რეკომენდაციის თანახმად, მონაცემთა გადაცემა სხვა უწყებებისთვის¹², უნდა იყოს ნებადართული მხოლოდ ნათელი ავტორიზაციის საფუძველზე ან თუ ის შეუცვლელია მიმღების კანონიერი ამოცანის შესრულებისთვის; თუმცა შეზღუდულია მონაცემთა პირველადი შეგროვების საფუძველით. ამ შეზღუდვების გვერდზე გადადება შესაძლებელია, თუ მონაცემთა გაცემა ეჭვგარეშე მონაცემთა სუბიექტის ინტერესშია.¹³ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი არ განიხილავს მსგავს საკითხებს, იგი მოცემულია კანონქვემდებარე აქტებში და დარგობრივ კანონმდებლობაში. აღნიშნულ კონტექსტში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაკუთრებულ ხსენებას საჭიროებს, ვინაიდან ის ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს (და თუ საჭიროა უფლებამოსილ პირს) მონაცემთა გადაცემის ან დამმუშავებლის ფაილთან წვდომის ყველა შემთხვევის დოკუმენტირებას, რომლის მიზანია მონაცემთა სუბიექტისთვის (და ინსპექტორისთვის) მოთხოვნისთანავე ინფორმაციის მიწოდება.

1.4 სამართლიანი დამუშავების პრინციპის შესრულება

სამართლიანი დამუშავების პრინციპი ახლოსაა იმასთან, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ „გახსნილობის“ და ასევე „ინდივიდუალური მონაწილეობის“ სახელმძღვანელო პრინციპებად მოიხსენიება. ეს ნიშნავს, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გამჭვირვალობა უნდა იყოს მიღწეული არა მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მიმართ, არამედ გარკვეულწილად საზოგადოების მიმართაც. მიუხედავად შესაძლო განსხვავებებებისა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებსა და ევროდირექტივას შორის, განსაკუთრებით მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულების კუთხით, სახელმძღვანელო პრინციპების „გახსნილობის პრინციპი“ მოცემულია ევროდირექტივისა და კონვენციის სამართლიანი დამუშავების პრინციპში.

რამდენადაა ქართული კანონმდებლობა კონვენციასთან და გამჭვირვალობის კარგ პრაქტიკასთან თანხვედრაში, როგორც ეს ევროკავშირის მოქმედ კანონითაა გათვალისწინებული, შემდეგ ჭრილში უნდა იყოს განხილული:

კონვენციის განმარტებითი ანგარიში განსაზღვრავს¹⁴, რომ დაცვის მექანიზმები, რომლებიც უნდა განისაზღვროს შიდა კანონმდებლობაში, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, შეიცავს შემდეგ ოთხ ელემენტს:

- მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილის არსებობის ფაქტის დადგენა;
- მონაცემთა ავტომატიზირებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება;
- მცდარი ან შეუსაბამო მონაცემთა გასწორება;
- ზომების გატარება თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი არ არის დაცული.

¹² recommendation (87)15, principle 5.2

¹³ See principle 5.2.ii

¹⁴ See point 50 in the Explanatory Report

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს წარუდგინოს ინსპექტორს „ფაილური სისტემების კატალოგი“¹⁵, რომელსაც იგი აქვეყნებს ელექტრონულად ხელმისაწვდომ რეესტრში. შესაბამისად, საჯაროობის მოთხოვნა, რომელიც მოცემულია კონვენციის 8(ა) მუხლში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპებში ხელმისაწვდომობის თაობაზე დაცულია.

მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა შეგროვების მომენტში მონაცემთა სუბიექტს უნდა შეატყობინოს დაგეგმილი დამმუშავების შესახებ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი). პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ამ კუთხით ნამდვილად მისდევს ევროდირექტივის მაგალითს; თუმცა განსხვავებები არსებობს იმის თაობაზე, თუ ვის აქვს შეტყობინების ვალდებულება. საქართველოს კანონის თანახმად როგორც მონაცემთა დამმუშავებელმა, ასევე უფლებამოსილმა პირმა უნდა მოახდინონ ეს, რაც დუბლირებაა და დადებითად არ მოქმედებს როლებისა და ვალდებულებების სიცხადეზე.

კიდევ ერთი უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება დირექტივასთან მიმართებაში: როდესაც მონაცემები გროვდება მესამე პირის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ინფორმაციის გაცემა მხოლოდ მოთხოვნისას უნდა მოხდეს. მართალია, რომ კონვენციის განმარტებითი ანგარიში ამას ახსენებს როგორც მაგალითს¹⁶, თუმცა ეს არ არის მონაცემთა სუბიექტის ინტერესში, ვინაიდან ასე მოპოვებული ინფორმაცია უფრო მაღალი რისკის მატარებელია და გამჭვირვალობის უფრო მაღალ ხარისხს საჭიროებს, ვიდრე პირდაპირ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებული მონაცემები. ამ ვალდებულებიდან გამონაკლისი მოცემულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს ინფორმაცია“¹⁷ - ეს თანხვედრაშია დირექტივის მე-10 მუხლთან.

„ინდივიდუალური მონაწილეობა“ უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის IV თავის დებულებებით, სადაც განსაზღვრულია კონვენციის მე-8 (ბ) და (გ) მუხლითა და დირექტივის მე-12 მუხლით დადგენილი წვდომის უფლება. რეკომენდაციის (97)15 მე-6 პრინციპი შესრულებულია, ვინაიდან წვდომის უფლება არსებობს პოლიციის მიზნებისთვის მონაცემთა დამმუშავების შემთხვევაშიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის IV თავი ასევე შეიცავს დებულებებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ეს დებულებები, შესაბამისობაშია კონვენციის მე-9 მუხლთან და დირექტივის მე-13 მუხლთან.

საბოლოოდ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური ზომები მონაცემთა შესწორებაზე ან წაშლაზე უარის თქმის თაობაზე, როგორც ეს კონვენციის მე-8(დ) მუხლითაა განსაზღვრული, ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი მოიაზრებს სპეციალურ რეგულაციას ფარული სამმებრო ღონისძიებებისას მოპოვებული პერსონალური მონაცემების შესახებ: სპეციალური კომისია, რომელსაც ქმნის პარლამენტი, ადგენს უნდა წაიშალოს თუ არა ასეთი ინფორმაცია და როდის

¹⁵ Art. 19 and Art. 20 of the PDP Law

¹⁶ See point 51

¹⁷ Art. 15 (2) PDP Law

უნდა მოხდეს ეს (მუხლი 26¹⁸). თუმცა, აქ არ არის განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, მას შემდეგ რაც ფარული სამმებრო ღონისძიებები დასრულდება. რეკომენდაციის (87)15-ის განმარტებითი ანგარიშის მე-9 მუხლის მე-3 პარაგრაფი ამას განმარტავს როგორც კარგ პრაქტიკას.¹⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი კი ადგენს დაცვის სპეციალურ მექანიზმს ზედამხედველი ორგანოს სახით (საქართველოს კანონის 35-ე მუხლი): სასამართლოს ნებართვას თან უნდა ახლდეს ინსპექტორის ნებართვა.²⁰ ზედამხედველი ორგანოს ასეთი პირდაპირი ჩარევის მიზანშეწონილობა ფარული სამმებრო ღონისძიებებისას კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.²¹

1.5 მონაცემთა უსაფრთხოება

მონაცემთა უსაფრთხოება ასახულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპებში „უსაფრთხოების დაცვის პრინციპი“-ს ქვეშ. მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულება, უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება ადეკვატური ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებით, მოცემულია კონვენციაში (მე-7 მუხლი) და დირექტივაში (მე-17 მუხლი).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს მონაცემთა უსაფრთხოების შესახებ დებულებას და ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს, მოახდინოს „საკუთარ ფაილებში არსებული ყველა მონაცემზე შესრულებული ოპერაციის“ დოკუმენტირება (პუნქტი 2); ასევე მან უნდა გააანალიზოს ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები (პუნქტი. 3). მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის თანამშრომლებს გამოიყენონ მონაცემები მხოლოდ საქმიანობის განსახორციელებლად და დაიცვან კონფიდენციალურობა, სამსახურის დატოვების შემდეგაც.

მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობას არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი, რომელიც პირდაპირ ადგენს, რომ უფლებამოსილმა პირმა უნდა შეიზღუდოს საქმიანობა იმით, რაც მას განუსაზღვრა მონაცემთა დამმუშავებელმა. თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ახსენებს შესაძლებლობას, როდესაც უფლებამოსილი პირი არ მოქმედებს კონტრაქტის საფუძველზე, არამედ კანონით აქვს ეს ვალდებულება; აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა „უფლებამოსილი პირის“ სამართლებრივი სტატუსის განუყოფელი ნაწილია. მე-17 მუხლის ბოლო პარაგრაფი მიუთითებს შიდა კანონმდებლობაზე მონაცემთა უსაფრთხოების შესახებ, რაც ადეკვატური რეაქციაა ინფორმაციულ უსაფრთხოების გამოწვევებზე ონლაინ სამყაროში.

¹⁸This (second) Art. 26 was created by the *Law of Georgia No 2636 of 1 August 2014* – available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457307>, 18.8.2014

¹⁹ recommendation (87)15, principle 2.2, explanatory report para 44

²⁰ The Authority of the Inspector includes: a) check lawfulness of data processing through electronic means of control; b) when carrying out covert surveillance, to issue permission on covert investigative work through the means of two-stage electronic system; c) checking (inspecting) lawfulness of data processing by data processor/authorised person.”

²¹Article 1.3. Paragraph 25, explanatory memorandum to Recommendation (87)15 [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=ExpRec\(87\)15&Language=lanEnglish&Ver=original&Site=COE&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=ExpRec(87)15&Language=lanEnglish&Ver=original&Site=COE&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383)

1.6 შესაბამისობა

მონაცემთა დამმუშავებლის ანგარიშვალდებულება შესაბამისობაში იყოს მონაცემთა დამმუშავების არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს დამატებით სპეციალური ინსტრუმენტების შემუშავებას, რათა უფრო გაუმჯობესებული და დაცული იქნეს აღნიშნული შესაბამისობა. ერთ–ერთი ასეთი ინსტრუმენტი, რაც პირველად ნახსენების დირექტივაში, არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა ოფიცერი“²². გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთ ოფიცერს უნდა ჰქონდეს გავლენა ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე; თუმცა, საბოლოოდ, მაინც მმართველი მენეჯმენტი პასუხისმგებელი გარე სამყაროსთან ურთიერთობაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს შიდა ოფიცრის სავალდებულო დანიშვნას და არ იძლევა ინფორმაციას ასეთი პოზიციის და მისი ფუნქციების შესახებ.

შესაბამისობის ასამაღლებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისად შემუშავებულ და დოკუმენტირებულ პროცედურებს. საბაზისო კვლევისას გაირკვა, რომ რიგი ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან შიდა რეგულაციები, კანონქვემდებარე აქტების სახით. თუმცა, უფრო ზოგადი სამართლებრივი ინსტრუმენტის არსებობა, თუ რა უნდა გაკეთდეს შიდა სახელმძღვანელო პრინციპებით, უფრო გაადვილებს შიდა სტრუქტურების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას. შიდა კანონმდებლობა, რომელიც ნახსენებია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 (5) მუხლში, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ტექნიკური მონაცემთა დაცვა გარდაიქმნას უფრო ყოვლისმომცველ ორგანიზაციულ მონაცემთა დაცვად.

1.7 მონაცემთა დაცვის დამმუშავების კონტროლი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ

ევროპული სტანდარტებით, პერსონალური მონაცემთა დაცვის ერთ–ერთი ეფექტური მნიშვნელოვანი სპეციალური მახასიათებელი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს მონაცემთა დამმუშავებელს (უფლებამოსილ პირს).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ამ მოთხოვნას ასრულებს; კანონის V თავი განსაზღვავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის კომპეტენციითა და უფლებამოსილებით, მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების კანონიერების მონიტორინგი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში 2014 წელს შესული ცვლილებებით, ის სრულად შესაბამისობაშია პოლიციის საქმიანობათან; აღნიშნული კანონი ფარავს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ მონაცემებსაც და შესაბამისად, ხვდება ინსპექტორის ზედამხედველობის ფარგლებში. ამით, ევროსაბჭოს რეკომენდაციის (87) 15²³ ერთ–ერთი სპეციალური მოთხოვნა შესრულებულია.

²²A “personal data protection official” according to Art. 18 (2) of the EU Data Protection Directive

²³ Principle 1.1

1.8 რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, მიგრაციის მართვის კუთხით

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი რთულად იკითხება – განსაკუთრებით მოქალაქეებისთვის, რაც გამოწვეულია რამოდენიმე ცვლილებით; რეკომენდებულია, რომ ამ მუხლის რეფორმულირება მოხდეს კანონის გამჭვირვალობის ინტერესებიდან გამომდინარე.
2. ვინაიდან საქართველოს კანონს არ აქვს უპირატესი სტატუსი სხვა კანონებთან შედარებით, მე-6 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვები არ არის ეფექტური. ისინი ასევე არასაკმარისია იმ შემთხვევებში, როდესაც მე-6 მუხლით სენსიტიური მონაცემების დამუშავება არ არის ნებადართული, მაგრამ ცხადია რომ აუცილებელია. რეკომენდებულია, დამატებითი ყურადღება მიექცეს თუ როგორ არის შესაძლებელი მე-6 მუხლის მიზნის რეალიზება, სენსიტიური მონაცემების დამუშავების კანონით დამატებითი არადისკრიმინაციული შემთხვევების შექმნის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელება.
3. რეკომენდებულია, დამატებითი განიხილულ იქნეს საკითხი, თუ როგორ შეუძლია კანონს უფრო მკაცრად განსაზღვროს მესამე მხარისთვის მონაცემთა გამხელის პირობები.
4. როდესაც საქმე ეხება მონაცემთა სუბიექტის მონაცემთა შეგროვების დროს ინფორმირებას, რეკომენდებულია კანონის იმ მუხლის ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც ეხება მონაცემთა მესამე მხარისგან შეგროვებას. ღიად უნდა ჩაიწეროს, რომ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება აქვს მონაცემთა დამმუშავებელს და არ უნდა მოიცავდეს უფლებამოსილ პირს.
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ღიად უნდა განისაზღვროს, რომ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა კანონიერი ვალდებულებაა ყველასთვის, ვინც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, მიუხედავად იმისა, დამმუშავებელია, თუ უფლებამოსილი პირი, და მიუხედავად იმისა თუ რა არის განსაზღვრული ხელშეკრულებით.
6. დაწესებულებებისთვის, რომლებიც ამუშავებენ დიდი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს, შიდა ოფიცერის დანიშვნა უნდა იყოს სავალდებულო პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონით.
7. უნდა შეიქმნას უფრო დეტალური სამართლებრივი დებულებები საორგანიზაციო ზომებზე კანონის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; შეიძლება განისაზღვროს საჯარო სექტორის ვალდებულება, ჰქონდეთ ასეთი ზომებისთვის სათანადო კანონქვემდებარე დოკუმენტები.

ნაწილი 2 მიგრაციის მართვის დარგობრივი კანონმდებლობის შეფასება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის და კონვენციის მოთხოვნებთან მიმართებაში

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკანონმდებლო ისტორია, კანონმდებლობის თანამედროვე გაგებით, 1990-იანი წლებიდან იწყება. დღეისათვის მოქმედი კანონების დიდი ნაწილი მართალია შედარებით მოგვიანებით არის მიღებული, თუმცა ბევრი მათგანი 1990-იან წლებში მიღებული პირველი კანონების განახლებულ ვარიანტს წარმოადგენს. მიუხედავად 1995 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებებისა, პირადი ცხოვრების უფლების შესახებ, ცალკე კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ მხოლოდ 2011 წელს შეიქმნა; შესაბამისად არც დარგობრივი კანონმდებლობა გამოირჩეოდა ამ საკითხისადმი ყურადღებით.

მიგრაციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა 2012-14 წლებში ახალი სახით დამტკიცდა. მიუხედავად კანონების ახალი რედაქციისა და ცვლილების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ განხორციელებისა, მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა ძირითადად „გულგრილია“ პერსონალური მონაცემების დაცვის თემისადამი.

წინამდებარე თავი ანალიზებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას შემდეგი კუთხით:

- რამდენად თანხვედრაშია ან პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პრინციპებსა და დებულებებს;
- რამდენად ადგენს წესებს, რომლებიც პირდაპირ არ მიუთითებენ ხსენებული სამართლებრივი დოკუმენტის დებულებებზე, მაგრამ (ა) ხელს უწყობენ არსებული ნაკლოვანებების შევსებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და კონვენციის პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების კუთხით ან (ბ) აუარესებენ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს.

ცვლილებები, რომლებიც დარგობრივმა კანონმდებლობამ განიცადა არ ყოფილა ინიცირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აქედან გამომდინარე, ეს ანგარიში მიმოიხილავს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ამჟამინდელ ფორმულირებას; პირველადი ვერსიები გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია შედარების ან განვითარებებში სიცხადის შესატანად.

2.1 საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის შესახებ“²⁴

საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის რეესტრის ფორმირების ძირითად წყაროს. ისტორიულად, საქართველოში მოსახლეობის რეესტრი გაცემული დოკუმენტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციით შეიქმნა და *დე-ფაქტო* დაიწყო ფუნქციონირება, რის შედეგადაც, პირადობის კანონს შესაბამისი მუხლები დაემატა. მაგ.: კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) უფლებამოსილია გარკვეულ შემთხვევებში მესამე პირებზე გასცეს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ასახული პერსონალური მონაცემები. შესაბამისად, პირადობის კანონი აწესრიგებს არა მხოლოდ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემის წესებს, არამედ გარკვეული გაგებით წარმოადგენს მოსახლეობის რეესტრის აქტს. როდესაც ხდება ამ კანონის შედარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონთან და კონვენციასთან, ეს თავისებურებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

პირადობის კანონის შედარებითი ანალიზისას მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან, შემდეგი ძირითადი საკითხები იკვეთება:

ა) მეტი კონკრეტიკაა საჭირო, როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რათა თანამშრომლებმა საქმიანობა განახორციელონ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად. მაგალითად, როდესაც ხდება პირადობის (ბინადრობის) მოწმობის ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე გაცემა კანონის მე-14(10) მუხლის შესაბამისად; აქ იკვეთება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების საჭიროება. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სპეციალური კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება და მისი დამუშავება დასაშვებია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით „მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად“; თუმცა რიც შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კონკრეტული ქმედება რამდენად ემსახურება ასეთ ინტერესებს.

ბ) მესამე პირებზე სააგენტოს ბაზაში არსებული მონაცემების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები იწევს ინტერესს. პირადობის კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სააგენტო უფლებამოსილია მესამე პირებზე გასცეს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ასახული პერსონალური მონაცემები, თუ არსებობს იმ პირის თანხმობა, რომელსაც ეხება ეს ინფორმაცია. „აღნიშნული თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ ინფორმაციის გამომთხოვი დაწესებულების მიერ შესაბამისი პირის მიმართ განხორციელებული/განსახორციელებელი მოქმედების არსიდან ან სხვა გარემოებიდან ივარაუდება, რომ პირი თანახმაა მისი პერსონალური მონაცემების გაცემაზე“. თუმცა განსახილველ შემთხვევაში (პირადობის კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი), მესამე პირის მიერ

²⁴ Adopted on 27 June, 1996

გასაწევი მომსახურების არსიდან, შეუძლებელია პირმა ივარაუდოს მისი მონაცემების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში გადამოწმების შესაძლებლობა, ანუ ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისმიერ თანხმობის განმარტებას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული მუხლი ემსახურება ძირითადად საბანკო სექტორისათვის მონაცემთა ამგვარ დამუშავებას. ამ კონკრეტული ურთიერთობისათვის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი თანხმობასთან ერთად შესაძლებელია იყოს მონაცემთა დაცვის კანონის მე-5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად). თუმცა, მოსახლეობის რეესტრში დაცული მონაცემთა მოცულობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა კანონს მკაფიოდ და ამომწურავად დაერეგულირებინა მოსახლეობის რეესტრიდან გაცემულ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა გაცემის კონკრეტული შემთხვევები, მონაცემთა მოცულობა, მონაცემთა გამოთხოვის პროცედურა და ა.შ., რათა თავიდან იქნეს აცილებული გაურკვეველობა და არასწორი ინტერპრეტაცია.

გ) პირადობის კანონი არ ახდენს კონვენციითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების კონკრეტიზაციას და ხელს არ უწყობს მათ რეალიზებას. მაგ., კონვენციის მე-7 და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლები აწესრიგებს მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ეს მუხლები საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ერთი მხრივ ადგენენ ზოგად ვალდებულებას, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიიღოს მონაცემთა დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, ხოლო, მეორე მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამბობს, რომ ასეთი ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. განხილულ ნორმატიულ აქტებში მონაცემთა უსაფრთხოების თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი, შესაბამისად, არსებობს ზოგადი ვალდებულება, მაგრამ ბუნდოვანია კონკრეტულ პროცესში და კონკრეტული პირების მიმართ რას ნიშნავს/რას გულისხმობს ეს ვალდებულება.

დასკვნა: კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტის ჩანაწერები რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია. მოსახლეობის რეესტრის ფორმირებისას და, განსაკუთრებით, მესამე პირებზე გამჟღავნებისას დასამუშავებელ მონაცემთა სპექტრი არ არის განჭვრეტადი. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების (ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ) დამუშავების ცალკეულ შემთხვევებში საექვო/სადავოა მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველები.

2.2 საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (შემდგომში - უცხოელთა კანონი) მიღებულიქნა 2014 წლის 5 მარტს. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა, რაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასაც უნდა გულისხმობდეს. ასევე, კანონის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „უცხოელის პერსონალური მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

ოგივე კანონის მესამე თავი ვიზის გაცემის საკითხს ეხება და დეტალურად არეგულირებს როგორც ვიზის გაცემის ზოგად პირობებს, ასევე კონკრეტულ პროცედურებს. უცხოელთა კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ამბობს, რომ „აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს ვიზის გამცემმა ორგანომ შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები ან საქართველოს ვიზის მიღების მსურველი უცხოელი მიიწვიოს გასაუბრებაზე. **კანონის ამგვარი მიდგომა ცალსახად პოზიტიურია**, ვინაიდან, ერთი მხრივ, არ აწესებს ხისტ მიდგომას ვიზის გაცემის პროცესში დამატებითი ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, მონაცემთა დამუშავებელს ზღუდავს იმ ლეგიტიმური მიზნების დასახელებით, რომელთა მისაღწევადაც არსებობს დამატებითი ინფორმაციის შეგროვების უფლება.

ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით მდგომარეობა განსხვავდება. სააგენტოს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ბინადრობის ნებართვა, შეუძლია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები და უნდა გამოიყენოს განაცხადის ფორმა; არსად არსებობს შეზღუდვა იმის თაობაზე, რომ განცხადების ფორმა იმთავითვე არ ითხოვდეს იმაზე მეტი ინფორმაციის დამუშავებას (წარდგენას), ვიდრე ეს ნებართვის მისაღებად (მიზნის მისაღწევად) არის საჭირო ან განსაზღვრულია ნორმატიული აქტით. საქართველოს კანონთან შესაბამისობისთვის რეკომენდებულია, რომ ბინადრობის ბრძანების მე-13 (1) მუხლის ფორმულირება მოხდეს შემდეგნაირად: „სააგენტოს აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, თუ დოკუმენტები აუცილებელია ფაქტების ან გარემოებების დასადგენად, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.”

სენსიტიური მონაცემების დამუშავება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უცხოელთა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ „იგი დაავადებულია ისეთი ინფექციური ან სხვა დაავადებით, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოსახლეობას. ამგვარ დაავადებათა ჩამონათვალს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“. უმჯობესია დადგენილებით ასევე განისაზღვროს კომპეტენტური ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს/გამოაცხადოს სხვა ქვეყნებში დასახელებული დაავადებების გავრცელების საკითხი და ამგვარი სპეციალური მდგომარეობის ვადები.

დასკვნა: ზოგ შემთხვევებში კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტის ჩანაწერები ბუნდოვანია და დასამუშავებელ მონაცემთა მოცულობა - არა განჭვრეტადი.

2.3 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (შემდგომში - ორგანული კანონი) მიღებულია 2014 წლის 30 აპრილს. იგი არეგულირებს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს.

მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით ჩართული მხარეები არიან სააგენტო, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს დაზვერვის სამსახური. უნდა აღინიშნოს, რომ ამათგან მხოლოდ სააგენტოსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოიხსენიებს ორგანული კანონი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დაზვერვის სამსახურის ჩართულობაზე „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის N237 ბრძანებულება (შემდგომში - მოქალაქეობის ბრძანებულება) საუბრობს. მოქალაქეობის ბრძანებულება განსაზღვრავს მონაცემთა დამმუშავებელ დაწესებულებებს და პროცესში ჩართულ მხარეებს თუმცა საკითხი, თუ როგორ განისაზღვრება მონაცემთა დამუშავების/მონაცემებზე წვდომის უფლება ორგანიზაციის შიგნით ან მონაცემთა რა ნაწილი გადაეცემა სხვადასხვა უწყებებს სრულად მინდობილია თავად ორგანიზაციებზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი საკითხები საერთოდაც ინდივიდუალური აქტით ან უბრალოდ პრაქტიკით წესრიგდება. კანონმდებლობა რაიმე ფარგლებსაც კი არ ადგენს ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

მოქალაქეობის ბრძანებულება ადგენს საქართველოს მოქალაქეობის საკითხების (ნატურალიზაციის სხვადასხვა სახე ან მოქალაქეობის შეწყვეტა სხვადასხვა საფუძვლით) განხილვისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეობის ბრძანებულების დანართებით განსაზღვრულია განცხადების განსხვავებული ფორმა თითოეული მოთხოვნისათვის და განცხადების ფორმა მოქნილია. სავალდებულო ველებს წარმოადგენს მხოლოდ ზოგადი მონაცემები, ხოლო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა განმცხადებელს შეუძლია თანდართული დოკუმენტაციის სახით. მაგ., თუ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია პირის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, განცხადებას თან დაერთება შესაბამისი დოკუმენტაცია. ამგვარი მიდგომა 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგია, რაც უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც ხელს უწყობს მონაცემთა მიზანთან მიმართებით პროპორციულად დამუშავებას.

დასკვნა: ორგანული კანონი არ ადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ რეჟიმს, თუმცა დარგობრივი კანონმდებლობა არ ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების კონკრეტიზაციას. საგულისხმოა, რომ პროცესში ჩართული მხარეები, მათი როლი და რიგ შემთხვევებში დამუშავებულ მონაცემთა მოცულობა მკაფიო და განჭვრეტადი არ არის.

2.4 საქართველოს კანონი „ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“

საქართველოს კანონი „ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“ (შემდგომში - ლტოლოვილთა კანონი) მიღებულ იქნა 2011 წლის 6 დეკემბერს. ის არ საუბრობს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა არც კონვენციითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ წესრიგს აწესებს. ლტოლოვილთა კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია გაიაროს სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში. თავად

პროცედურის გააზრება, ალბათ, მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება ხდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის ანუ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუმცა სენსიტიურ მონაცემებთან დაკავშირებით, უმჯობესია კანონმა უფრო მკაფიო რეგლამენტაცია შემოგვთავაზოს და ნათლად იყოს განსაზღვრული რა შემთხვევებში, რა მოცულობითა და პროცედურით ხდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება.

სტატუსის მინიჭებისა და თავშესაფრის მოთხოვნის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ლტოლვილთა ბრძანება განსაზღვრავს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მათ კომპეტენციას. პროცესში ჩართულები არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აღსანიშნავია, რომ კანონი დეტალურად განსაზღვრავს თითოეული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებს, რაც უთუოდ პოზიტიურია.

დასკვნა: ლტოლვილთა კანონი არ ადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ წესრიგს, თუმცა არც მონაცემთა დაცვის პრინციპებისა თუ დებულებების კონკრეტიზაციას ახდენს. სენსიტიურ მონაცემებთან დაკავშირებით არ არის ნათელი და მკაფიო რეგლამენტაცია.

2.5 საქართველოს კანონი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“

საქართველოს კანონი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ (შემდგომში - საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონი) მიღებულ იქნა 2012 წლის 12 ივნისს. საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონი ძალიან ზოგადია და მხოლოდ პრინციპებისა და ძირითადი თუ დელეგირებული საკონსულო ფუნქციების ჩამოთვლით შემოიფარგლება.

საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონის მე-20 მუხლი შეეხება საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემას. „საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის N426 დადგენილება (შემდგომში - დასაბრუნებელი მოწმობის დადგენილება) განსაზღვრავს დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საფუძვლებს, პირობებსა და მოქმედების ვადებს, ასევე, დოკუმენტის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. დასაბრუნებელი მოწმობის დადგენილების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შესაძლებელია დამუშავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - „თუ დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა პირზე, რომლის ნების გამოხატვა შეუძლებელია მისი მძიმე ავადმყოფობის გამო და რომელსაც არა ჰყავს წარმომადგენელი, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა/დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული პირის მხრიდან ნების გამოხატვის

შეუძლებლობას“. ამ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების საფუძველი შეიძლება იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევა - მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

საკონსულო აღრიცხვის წარმოების წესს შეეხება საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონის 21-ე მუხლი, თუმცა აღნიშნული მუხლი საკონსულო აღრიცხვის წესების მოწესრიგებას მინისტრის ბრძანებას ანდობს. „საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2011 წლის 10 ოქტომბრის N241 ბრძანება (შემდგომში - საკონსულო აღრიცხვის ბრძანება) განსაზღვრავს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და აღრიცხვიდან მოხსნის წესს, წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. ბრძანების დანართით განსაზღვრულია განცხადება-ანკეტის ფორმა (დანართი N1). უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულო აღრიცხვის ბრძანება დეტალურად განსაზღვრავს დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობას.

დასკვნა: საკონსულო აღრიცხვის შესახებ კანონი და დასაბრუნებელი მოწმობის დადგენილება არ ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს.

2.6 საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“

საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ (შემდგომში - რეპატრაციის კანონი) მიღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისს. მისი მიზანია XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა. რეპატრაციის კანონი დეტალურად აწესრიგებს რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის წარგენა-განხილვის წესსა და წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს.

რეპატრაციის კანონის მე-6 მუხლი ადგენს განცხადების განხილვის წესს. აღნიშნული მუხლის თანახმად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად გადაუგზავნოს სხვადასხვა უწყებებს. მნიშვნელოვანია, რომ კანონი არ განსაზღვრავს არც 'საჭიროების შემთხვევის' რაიმე ტიპის განმარტებას და არც იმ უწყებათა მინიშნებით ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლებელია ჩართული იყვნენ რეპატრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დამატებითი მოთხოვნების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის N276 დადგენილებით (შემდგომში - რეპატრაციის დადგენილება) დამტკიცებულია რეპატრიანტის

სტატუსის მაძიებლის ანკეტა. აღნიშნული ანკეტა შეიცავს ისეთ ველებს, როგორცაა განათლების, სამუშაო გამოცდილების შესახებ და ა.შ. ინფორმაცია. ვინაიდან რეპატრაციის კანონის მე-4 მუხლი, რომელიც არეგულირებს სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს, არ განსაზღვრავს ამ ტიპის მონაცემთა დამუშავებას, არ არის ნათელი თუ რა მიზანს ემსახურება განათლების ან სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

რეპატრაციის დადგენილებით ასევე გათვალისწინებულია რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის დამუშავება. „პეროსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, რომელთაგან არცერთს არ შეესაბამება რეპატრაციის დადგენილებით გათვალისწინებული სენსიტიური მონაცემების დამუშავება.

დასკვნა: რეპატრაციის კანონით გათვალისწინებულ დასამუშავებელ მონაცემთა მოცულობა რიგ შემთხვევაში არ არის განჭვრეტადი. მონაცემთა დამუშავება ყოველთვის არ არის მიზანთან მიმართებით პროპორციული. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის არ არსებობს „პეროსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

2.7 საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“

საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (შემდგომში - საზღვრის შესახებ კანონი) მიღებულ იქნა 1998 წლის 17 ივლისს და განსაზღვრავს საქართველოს საზღვრის სტატუსს, მისი გადაკვეთის ზოგად წესებს, და სასაზღვრო რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საზღვრის შესახებ კანონის 33-ე მუხლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებებიც არიან ჩართულნი. ერთი მხრივ, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საზღვრის კონტროლის პროცესში მონაცემთა დამუშავების/მონაცემებზე წვდომის უფლებას ორგანიზაციის შიგნით და აღნიშნული სრულად მინდობილია თავად ორგანიზაციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, არ არის განსაზღვრული პროცესში ჩართულ უწყებათა კომპეტენციის ფარგლები. ასევე, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების 2010 წლის 31 დეკემბრის N985-N1187 ერთობლივი ბრძანების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაზღვრო გამტარ პუნქტზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ „ხდება პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება“, თუმცა არსადაა საუბარი იმაზე, თუ რა ინფორმაციის მოპოვებაა დასაშვები, საიდან - რომელი წყაროდან ხდება აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და ა.შ. ყოველივე აღნიშნული კი მონაცემთა დამუშავების პროცესს არაგანჭვრეტადს ხდის.

დასკვნა: საზღვრის შესახებ კანონი არ ადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ და საწინააღმდეგო რეგულაციებს, თუმცა არც მონაცემთა დაცვის საკითხების კონკრეტიზაციას ემსახურება. მონაცემთა დამუშავების საკითხისა და დამმუშავებლების როლების არამკაფიო განსაზღვრა პროცესს არაგანჭვრეტადს ხდის.

2.8 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ

უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმება (შემდგომში - შეთანხმება) ძალაშია 2011 წლიდან. შეთანხმების მე-16 მუხლი შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს. აღნიშნული მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს.

მიუხედავად შეთანხმებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხის მკაფიოდ გამოკვეთისა, „რეადმისიის შესახებ შეთანხმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 12 მარტის ერთობლივი ბრძანება №185-№35-№63-№22 (შემდგომში - რეადმისიის ბრძანება), რომელიც აწესრიგებს რეადმისიის პროცესის ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებს, საერთოდ არ ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს. ასევე აღსანიშნავია, რომ რეადმისიის ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად რეადმისიის განაცხადზე გადაწყვეტილების მიზნით ხდება პირის ფოტოსურათისა და თითის ანაბეჭდის შემოწმება ანუ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება, თუმცა აღნიშნული არ შეესაბამება განსაკუთრებული მონაცემთა დამუშავებისათვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში მოცემულ საფუძვლებს.

დასკვნა: შეთანხმებაში მკაფიოდ არის ხაზგასმული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, თუმცა კანონქვემდებარე აქტები ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას, რომელიც არ შეესაბამება მონაცემთა დაცვის კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ არცერთ საფუძველს.

ნაწილი 3 პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრაქტიკა მიგრაციის მართვის პროცესში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრაქტიკა მიგრაციის მართვის კონტექსტში შესწავლილი იყო ოთხ სახელმწიფო დაწესებულებაში:

- ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სააგენტო)
- საგარეო საქმეთა სამინისტრო (სსს)
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ქვემოთ მოცემული განხილვები მოიცავს დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს.

3.1 ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სააგენტო)

3.1.1 მიმოხილვა

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სააგენტო) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საჯარო დაწესებულებას მიგრაციის მართვის სფეროში. მიგრაციის მართვის პროცესებში სააგენტო ამუშავებს მონაცემთა სუბიექტების მრავალფეროვანი კატეგორიის შესახებ, დიდი მოცულობის პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და ბიომეტრულ მონაცემებს. მონაცემთა სუბიექტების წრე ძალიან დიდია და მოიცავს როგორც საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას, ისე მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხოელებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად, ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით სააგენტო საკმაოდ მომზადებული, მომწიფებული ორგანიზაციაა მონაცემთა დაცვის მიზნებისთვის - ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, სხვა დაწესებულებებთან შედარებით. აქ სხვა საკითხებთან ერთად იგულისხმება, როგორც ადამიანური რესურსების განვითარების დონე, ისე კარგი ფიზიკური და IT ინფრასტრუქტურა. მიგვაჩნია, რომ არსებობს საკმარისი წინაპირობები საიმისოდ, რომ მენეჯმენტის მხრიდან შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, აღმოიფხვრას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი სისუსტეები.

3.1.2 დაკვირვებები

მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები

სააგენტოში შესწავლილ ყველა პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები სახეზეა და ეფუძნება საქართველოს კანონის მე-5 (გ) მუხლს (მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად). თუმცა იკვეთება ზოგადად ამჟამად დამუშავებული ყველა მონაცემის კრიტიკულად გაანალიზება მათი აბსოლუტური აუცილებლობის კუთხით.

რიგი გამოწვევები იკვეთება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კუთხით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით, ნებისმიერი ინფორმაციის დამუშავება, რომელიც არა არის აბსოლუტურად აუცილებელი კანონიერი მოვალეობის განხორციელებისთვის, არის უკანონო. გამოწვევები ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს:

- სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას, უფრო მეტ ინფორმაციას იღებს ეგრეთწოდებული ელექტრონული სერვისის მეშვეობით, ვიდრე ეს საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად; მაგალითისთვის, სააგენტოს თანამშრომელს შეუძლია კონკრეტული განმცხადებლის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია მიიღოს, რომელიც ინახება შსს-ს მონაცემთა ბაზაში; ეს შესაძლებელია მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია, რომელიც რეალურად ჭირდება თანამშრომელს საკმაოდ შეზღუდულია. ეს შეიძლება მიჩნეული იყოს ელექტრონული სერვისის ნაკლოვანებად.
- რიგი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შეიძლება აბსოლუტურად აუცილებელი იყოს სააგენტოსთვის, თუმცა საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არ იძლევა ამის საფუძველს; მაგალითისთვის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული მე-6 მუხლით განსაზღვრულ არცერთ შემთხვევაში.
- სააგენტოს თანამშრომელი იღებს ინფორმაციას იმ პირთა შესახებ, რომელიც შეიძლება არ იყოს განმცხადებელი მაგრამ ჰქონდეს განმცხადებლის მსგავსი მონაცემები; ეს ხდება შესაძლო შეცდომის გამორიცხვის მიზნით. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რომ განხილული იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში – პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ავალდებულებს ინფორმაციის დამამუშავებელს (ისევე როგორც უფლებამოსილ პირს), მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს რიგი ინფორმაცია.

სააგენტო მიიჩნევს, რომ ეს ვალდებულება სრულდება განმცხადებლისთვის სამახსოვრო ბარათზე დატანილ ინფორმაციის მიწოდებით²⁵ და ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციით. უნდა აღინიშნოს, რომ სამახსოვრო ბარათზე დატანილი ტექსტი არ შეესაბამება კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნებს და ინფორმაცია ასევე არ არის მოცემული ვებ-გვერდზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, მოხდეს ტექსტის გადასინჯვა და და მიეწოდოს განმცხადებელს.

მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვის ვალდებულება

საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამამუშავებელს და უფლებამოსილ პირებს აღრიცხონ მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი შემთხვევა. ამ დებულებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება აქვს მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზაციისთვის და წარმოადგენს მონაცემთა კანონიერი დამუშავების მონიტორინგის მექანიზმს.

სააგენტო ინახავს ინფორმაციას მონაცემთა გამჟღავნების შესახებ და გარკვეული ძალისხმევის შედეგად (მოიცავს არქივებთან წვდომას, კანცელარიის პროგრამას, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს და ა.შ.) შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება. თუმცა ეს ძალისხმევა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და ვინაიდან არ არსებობს მარტივი, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმი, ამ დებულების მიზნის მიღწევა შეიძლება გართულდეს.

²⁵ So called „სამახსოვრო ბარათი“

ფაილური სისტემების კატალოგის წარმოება და ინსპექტორისთვის მათი მიწოდება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია აწარმოოს ფაილური სისტემების კატალოგი და აღრიცხოს ინფორმაცია მონაცემთა შესახებ თითოეულ ფაილურ სისტემაში; იგივე მუხლი მოითხოვს ცვლილებების შემთხვევაში განახლებას. სააგენტომ ფაილური სისტემების კატალოგი მიაწოდა ინსპექტორის აპარატს, თუმცა მას შემდეგ ცვლილებები მასში არ განხორციელებულა. ეს საკითხი შეიძლება რიგ კითხვებს ზადებდეს, ვინაიდან ახალი კანონების ძალაში შესვლის შემდეგ (მაგ. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ) ცვლილებები ფაილური სისტემების კატალოგში შეიძლება ყოფილიყო საჭირო.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს „მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.“ იგივე მუხლი მიუთითებს, რომ ზომები უნდა იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების შესაბამისი.

სააგენტოს ჯერ არ განუხორციელებია საფრთხეების შეფასება მიგრაციის მართვაში; შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად არის ადეკვატური ზომები საფრთხეების გასაანეიტრალებლად.

კვლევის პერიოდისთვის სააგენტოში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საჩივრები არ არის რეგისტრირებული, ასევე არ არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების პრეცედენტი.

3.1.3 რეკომენდაციები

მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მიგრაციის მართვის პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია სააგენტომ:

- განახორციელოს მონაცემთა დამუშავების პროცესების მიხედვით საფრთხეების ანალიზი და კონკრეტულ რისკებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება²⁶;
- შექმნას მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ეფექტური სისტემა მონაცემთა შეგროვების პროცესში. შექმნას მონაცემთა მესამე მხარეზე გამჟღავნების თაობაზე კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის ეფექტური მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ყველა გამჟღავნების ფაქტის მარტივ მოკვლევას;

²⁶პროექტის ჯგუფს ჰქონდა სურვილი უცხოელი ექსპერტის დახმარებით ჩაეტარებინა Privacy Impact Assessment (PIA) თუნდაცერთი პროცესის მიმართ; თუმცა ეს თანამშრომლობის მაღალ ხარისხს საჭიროებს, რაც ამ ეტაპისთვის რთული მისაღწევია.

- შექმნას მონაცემთა ბაზების ისეთი სტრუქტურა და ელექტრონული სერვისი, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემთა იმგვარი დანაწევრება, რომ ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ დამუშავებლის რეალური საჭიროების შესაბამის მონაცემების ნახვა;
- შეიმუშავოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სენსიტიური მონაცემების დამუშავება განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში. განსაზღვროს ვის რა სახის მონაცემი ეკუთვნის მოსახლეობის რეესტრიდან;
- სპეციალური სამართლებრივი რეგულაციით განსაზღვროს პირად მონაცემებთან იმ ინსტიტუტების წვდომა, რომელთაც ევალებათ პირის იდენტიფიცირება;
- გაანალიზოს პერსონალური მონაცემთა დაცვის კუთხით მონაცემთა უსაფრთხოების, მოწყობილობების მართვისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები;
- სასურველია, შიდა ორგანიზაციული წესებით პირდაპირ სავალდებულო გახდეს მონაცემთა დაცვის შიდა ოფიცრის მონაწილეობა გარკვეულ ორგანიზაციულ პროცესებში - მაგალითად კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლებისთვის მონაცემებზე წვდომის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრაში;
- სასურველია, სააგენტომ შეიმუშავოს და დანერგოს შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, რათა შემოწმდეს თუ რამდენად ეფექტურია მონაცემთა დაცვისკენ მიმართული პოლიტიკა და ინსტრუქციები.

3.2 საგარეო საქმეთა სამინისტრო (სსს)

3.2.1 მიმოხილვა

საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ძირითადი დაწესებულებაა, რომელიც მონაწილეობს მიგრაციის მართვის ისეთ პროცესებში, როგორცაა: ვიზის გაცემა, დასაბრუნებელი მოქმობის გაცემა და საკონსულო აღრიცხვა. ამ მოვალეობის შესრულებისას, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამუშავებს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიისა და ბიომეტრულ მონაცემებს.

სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის რიგი პრინციპები განხორციელებული აქვს პრაქტიკაში; ეს განსაკუთრებით ეხება მონაცემთა დამუშავების კანონიერ საფუძვლებს, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას. თუმცა, სამინისტროს თანამშრომლებში მონაცემთა დაცვის საკითხების ცნობადობა საკმაოდ დაბალია. სამინისტროს ასევე არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი შიდა ოფიცერი, რომელიც მიუხედავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მისი არასავალდებულო ხასიათისა, დაეხმარებოდა სამინისტროს კანონის მოთხოვნების შესრულებაში.

3.2.2 დაკვირვებები

მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები

სამინისტროში შესწავლილ ყველა პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები სახეზეა და ეფუძნება საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (ბ) (მონაცემთა დამუშავება

გათვალისწინებულია კანონით) და (გ) (მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად) პუნქტებს. თუმცა იკვეთება ზოგადად ამჟამად დამუშავებული ყველა მონაცემის კრიტიკულად გაანალიზება მათი აბსოლუტური აუცილებლობის კუთხით.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთან დაკავშირებით, სამინისტრო ამუშავებს ბიომეტრულ მონაცემს – ფოტოს, მაგალითად დასაბრუნებელი მოწმობის გაცემისას; თუმცა როგორც კანონის მე-9(2) მუხლი განსაზღვრავს „ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება კანონით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ან სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციის მიზნებისათვის“; შესაბამისად, საკონსულტო დაწესებულებებს შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქვთ სათანადო კანონიერი საფუძვლები.

თუმცა, კითხვები იკვეთება განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებულ სხვა მონაცემებთან მიმართებაში; მაგალითად, რიგ შემთხვევებში სამინისტროს ფუნქციის განსახორციელებლად აუცილებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება – მაგ. განმცხადებლის ნასამართლეობის შესახებ, რომელიც არ არის მოცემული საქართველოს კანონის მე-6 მუხლში.

სამინისტრო ადგენს კარგ პრაქტიკას ინფორმაციისთან წვდომის კუთხით, როდესაც საქმე ეხება სავიზო განაცხადებს. წვდომა განაცხადებთან აქვს მხოლოდ კონსულს და მის თანაშემწეს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს და განაცხადის გახსნა არ ხდება ინტერვიუმდე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ეს დადებითი ფაქტია, ვინაიდან ამცირებს არავაჭვობის წვდომის რისკს და მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემთა გამჟღავნებას.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ავალდებულებს ინფორმაციის დამმუშავებელს (ისევე როგორც უფლებამოსილ პირს), მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს გარკვეული ინფორმაცია.

სამინისტროს აქვს კარგი პრაქტიკა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების შესახებ, როდესაც მის შესახებ პერსონალური მონაცემები მუშავდება; მაგალითისთვის, როდესაც ხდება დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად განაცხადის შევსება, მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია შემდეგზე:

- ელექტრონულ განაცხადში წარმოდგენილი პერსონალური მონაცემი (მათ შორის, ბიომეტრიული მონაცემი), და ასევე, ინფორმაცია, რომელიც მე წარმოვადგინე, როგორც წარმომადგენელმა, საჭიროების შემთხვევაში გადაეცეს და დამუშავდეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
- მონაცემი, რომელსაც მე წარმოვადგინე ჩემს შესახებ და ჩემს მიერ წარმოდგენილი პიროვნების შესახებ, გადამოწმებულ იქნას შესაბამის უწყებებთან;
- ელექტრონულ განაცხადში ჩემს მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემის დამუშავების პროცესი ექვემდებარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს შიდა კანონმდებლობას.
- ელექტრონული განაცხადის განხილვის მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ჩემი ფოტოსურათის წარმოდგენა (საჭიროების შემთხვევაში თითის ანაბეჭდების აღება) არის სავალდებულო პროცედურა განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი არ არის მოცემული საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებაში#51 (28.02.2012), ის პრაქტიკაში გამოიყენება, რაც დადებითი მოვლენაა. ერთი ნაკლოვანება, რაც მას აქვს არის ის, რომ არ ხდება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა შესწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების უფლების შესახებ.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს „მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.“ იგივე მუხლი მიუთითებს, რომ ზომები უნდა იყოს მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების შესაბამისი.

სამინისტროს ჯერ არ განუხორციელებია საფრთხეების შეფასება მიგრაციის მართვაში; შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად არის ადეკვატური ზომები საფრთხეების გასაანეიტრალებლად.

მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვის ვალდებულება

საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირებს აღრიცხონ მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი შემთხვევა. ამ დებულებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება აქვს მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზაციისთვის და წარმოადგენს მონაცემთა კანონიერი დამმუშავების მონიტორინგის მექანიზმს.

სამინისტრო ინახავს ინფორმაციას მონაცემთა გამჟღავნების შესახებ და გარკვეული ძალისხმევის შედეგად (მოიცავს არქივებთან წვდომას, კანცელარიის პროგრამას, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს და ა.შ.) შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება. თუმცა ეს ძალისხმევა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და ვინაიდან არ არსებობს მარტივი, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმი, ამ დებულების მიზნის მიღწევა შეიძლება გართულდეს.

ფაილური სისტემების კატალოგის წარმოება და ინსპექტორისთვის მათი მიწოდება

საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია აწარმოოს ფაილური სისტემების კატალოგი და აღრიცხოს ინფორმაცია მონაცემთა შესახებ თოთეულ ფაილურ სისტემაში; იგივე მუხლი მოითხოვს ცვლილებების შემთხვევაში განახლებას. სამინისტრომ ფაილური სისტემების კატალოგი მიაწოდა ინსპექტორის აპარატს, თუმცა მას შემდეგ ცვლილებები მასში არ განხორციელებულა.

3.2.3 რეკომენდაციები

მონაცემთა დამმუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მიგრაციის მართვის პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

- განხორციელოს კონკრეტულ პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზი და შემუშავდეს კონკრეტულ რისკებზე ორიენტირებული ღონისძიებები;
- შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია, რომელიც იზრუნებს ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნის შესრულებაზე;
- შეიქმნას ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და რომელიც ასევე უზრუნველყოფს ცნობადობის ამაღლებას, რომ მონაცემთა უსაფრთხოება წარმოადგენს მონაცემთა დაცვის განუყოფელ ნაწილს;
- ორგანიზაციაში მკაფიოდ განსაზღვროს ორგანიზაციის თანამშრომლების როლები და პასუხისმგებლობები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით;
- შეიმუშაოს შიდა დოკუმენტი ან სახელმძღვანელო პრინციპები რომელებიც დაარეგულირებენ მონაცემთა დამუშავების პროცესთან დაკავშირებული აქტივების გამოყენებას, მართვას და დაბრუნებას;
- შეიმუშაოს დაშვების კონტროლის პოლიტიკა და დადგინდეს მომხმარებლის წვდომის უფლების გადახედვის პროცედურები;
- შეიმუშაოს ტექნიკური სისუსტეების შეფასების პროცედურები და ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების აღრიცხვის პროცედურები;
- შექმნას ეფექტური მექანიზმი მესამე მხარისთვის ინფორმაციის გადაცემის გამჟღავნების აღრიცხვისთვის, რათა ნებისმიერი ასეთი გამჟღავნება იყოს ადვილად მიკვლევადი და მონაცემთა სუბიექტის წვდომის მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაეცეს პასუხი.

3.3 შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)

3.3.1 მიმოხილვა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარო დაწესებულებაა მიგრაციის მართვის პროცესში, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვის კონტექსტში. მიგრაციის მართვის პროცესში შსს ამუშავებს მონაცემთა სუბიექტების მრავალფეროვანი კატეგორიის შესახებ, საკმაოდ დიდი მოცულობის მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის და ბიომეტრულ მონაცემებს. მონაცემთა სუბიექტთა წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხოელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი 2014 წელს შეინიშნება ერთგვარი გააქტიურება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის იმპლემენტაციის მიმართულებით. ამ პერიოდში გახორციელდა გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, გამოცემულ იქნა რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი რომელებიც პირდაპირ არის დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვასთან.

ზოგადად ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით შსს-ს აქვს გარკვეული მზაობა, ორგანიზაციული სიმწიფე მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დანერგვისთვის. ასევე შეიმჩნევა

გარკვეულ დონეზე ხელმძღვანელობის ნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიმართულებით. ის ფაქტი, რომ არსებული ინფორმაციული სისტემები და საქმის წარმოების პროცედურების დიდი ნაწილი შექმნილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, მისი ძირითადი პრონციპების მხედველობაში მიღების გარეშე, რაც ართულებს მდგომარეობას და მეტ ძალისხმევას მოითხოვს სამინისტროსგან.

3.3.2 დაკვირვებები

შესწავლილ პროცესებში, შსს-ში არასენსიტიურ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები არსებობს და ეფუძნება საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (ბ) (მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით) და (გ) (მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად) პუნქტებს. თუმცა გადაუდებლად სავალდებულოა ამაჟამად დამუშავებული ყველა მონაცემის კრიტიკულად გაანალიზება, მათი დამუშავების პროცესში გამოყენების აუცილებლობის კუთხით.

კითხვები ჩნდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან მიმართებაში; რიგი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შეიძლება აბსოლუტურად აუცილებელი იყოს სამინისტროსთვის, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არ იძლევა ამის საფუძველს; მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან ძებნილობასთან დკავშირებული მონაცემების აუცილებლობა არსებობს რიგ შემთხვევებში, მაგრამ კანონიერი საფუძვლები ვერ ჯდება საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში. ბიომეტრული მონაცემების – კონკრეტულად თითის ანაბეჭდების (რეადმისიისას), საზღვრის კვეთისას, დამუშავების შემთხვევაში, ის ეფუძნება საქართველოს კანონის მე-9 მუხლს და შესაბამისად, არსებობს კანონიერი საფუძვლები.

დამატებითი კითხვები ჩნდება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის მონაცემთა ბაზებთან წვდომის მიცემისას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაშვება შეიძლება კანონით იყოს დასაშვები, ელექტრონული სერვისები ისეა სტრუქტურირებული, რომ ცდება ფუნქციების განხორციელებისთვის საჭირო მონაცემებს; მაგალითისთვის, სააგენტოს თანამშრომელი ბინადრობის ნებართვის გაცემისას საჭიროებს საზღვრს კვეთის შესახებ შეზღუდულ მონაცემებს, თუმცა დაშვება აქვს საზღვრის კვეთის სრულ მონაცემებთან კონკრეტული განმცხადებლის შემთხვევაში.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ავალდებულებს ინფორმაციის დამმუშავებელს (ისევე როგორც უფლებამოსილ პირს), მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს რიგი ინფორმაცია.

სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, თანამშრომელი არ ახდენს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას და არ უმარტავს უფლებებს მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით, თუმცა შსს უზრუნველყოფს რიგ ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების შესახებ მოქალაქეებისთვის თვალსაჩინო ადგილას.

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

მონაცემთა გადაცემა სხვა სახელმწიფოებისთვის ხდება მხოლოდ რეადმისიის შემთხვევაში, რაც შეთანხმებით არის განსაზღვრული/სავალდებულო და შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია „მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.“

ინფორმაცია რისკების შეფასთან დაკავშირებით არ იყო კვლევისთვის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ვერ იქნება შეფასებული. თუმცა, ადგილზეა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება, რომელიც ადგენს სასაზღვრო გამშვები პუნქტებისთვის სტანდარტულ პროცედურებს; ამ ბრძანებას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს მონაცემთა უსაფრთხოებაზე. მაგრამ, ვინაიდან ეს დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობა შეუძლებელია.

მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვის ვალდებულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირებს აღრიცხონ მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი შემთხვევა. ამ დებულებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება აქვს მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზაციისთვის და წარმოადგენს მონაცემთა კანონიერი დამუშავების მონიტორინგის მექანიზმს.

მინისტრის ბრძანება #790 (15.10.2014), რომელიც არეგულირებს სამინისტროს სისტემაში არსებული ინფორმაციის გაცემას, ადგენს მონაცემთა გადაცემის სტანდარტებს. თუმცა, ეს ბრძანება არ ავალდებულებს უფლებამოსილ პირს აღრიცხოს მონაცემთა გამჟღავნება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომს გახდის ასეთი გამჟღავნების შესახებ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საჩივრები არ არის რეგისტრირებული; ასევე არ არსებობს მიგრაციის პროცესებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების პრეცედენტები.

3.3.3 რეკომენდაციები

მონაცემთა დამმუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მიგრაციის მართვის პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

- განახორციელოს მონაცემთა დამმუშავების პროცესების მიხედვით საფრთხეების ანალიზი და კონკრეტულ რისკებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება;
- შექმნას მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ეფექტური სისტემა. მონაცემების შეგროვების პროცესში;
- შექმნას მონაცემთა გამჟღავნების ეფექტური მექანიზმი მონაცემთა მესამე მხარისთვის გადაცემის რეგისტრაციის თაობაზე, რათა ნებისმიერი ასეთი გამჟღავნება იყოს ადვილად მიკვლევადი;

- შექმნას ელექტრონული სერვისის მონაცემთა ბაზების ისეთი დანაწევრებული სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემს სპეციფიურ მომხმარებელს რათა მას წვდომა ჰქონდეს მხოლოდ მისთვის საჭირო მონაცემებთან;
- სასურველია მონაცემთა უსაფრთხოებასა, მოწყობილობის მართვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების გაანალიზება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში;
- სასურველია, შიდა ორგანიზაციული წესებით პირდაპირ სავალდებულო გახდეს მონაცემთა დაცვის შიდა ოფიცრის მონაწილეობა გარკვეულ ორგანიზაციულ პროცესებში - მაგალითად კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლებისთვის მონაცემებზე წვდომის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრაში;
- სასურველია, შეიმუშავოს და დანერგოს შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, რათა შემოწმდეს თუ რამდენად ეფექტურია მონაცემთა დაცვისკენ მიმართული პოლიტიკა და ინსტრუქციები.

3.4 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

3.4.1 მიმოხილვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო წარმოადგენს მონაცემთა კომპლექსურ დამუშავებელს და ამუშავებს დიდი მოცულობით ინფორმაციას, რომელთა შორის დიდია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების წილი.

სამინისტრომ მიიღო მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა ორგანიზაციაში არსებული საერთო სურათიდან და წინაპირობების არ არსებობიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტის აღსრულება დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული. იმავდროულად, სამინისტროს არ ჰყავს მონაცემთა დაცვის შიდა ოფიცერი, რომელიც დაეხმარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებაში.

3.4.2 დაკვირვებები

მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები

სამინისტროში არასენსიტიურ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები არსებობს და ეფუძნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (ბ) (მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით) და (გ) (მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად) პუნქტებს. თუმცა იკვეთება ზოგადად ამჟამად დამუშავებული ყველა მონაცემის კრიტიკულად გაანალიზება მათი აბსოლუტური აუცილებლობის კუთხით.

სამინისტრო, რიგ შემთხვევებში ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის ისეთ მონაცემებს, როგორცაა: რასა, ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური, რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ცხოვრება, ნასამართლეობა და ძებნილობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში მხოლოდ

ნაწილზე შეიძლება მოიძებნოს კანონიერი საფუძვლები. დანარჩენი შემთხვევებისთვის საფუძვლები მოცემული უნდა იყოს დარგობრივ კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი კანონმდებლობა ამ საკითხზე არაფერს ამბობს, ინფორმაცია განმცხადებლის მიერ საკუთარი ინიციატივით არის მოწოდებული საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სენსიტიური მონაცემების დამუშავება მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს და შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად მე-6 მუხლის ფარგლებში.

შეკითხვები ჩნდება განსაკუთრებული კატეგორიის სხვა მონაცემებზე; რიგი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შეიძლება აბსოლუტურად აუცილებელი იყოს სამინისტროსთვის, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არ იძლევა ამის საფუძველს;

სამინისტროს შიგნით მონაცემთა გადაადგილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისას, პერსონალური მონაცემები, საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით, ხელმისაწვდომია პირებისთვის, რომლებიც არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ეს მონაცემები არ სჭირდებათ კანონიერი ფუნქციების შესასრულებლად.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ავალდებულებს ინფორმაციის დამმუშავებელს (ისევე როგორც უფლებამოსილ პირს), მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს რიგი ინფორმაცია.

სამინისტროს ცნობით, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება ხდება, თუმცა რაიმე ტექსტი ამის ამსახველი ვერ იქნა მოძიებული. ამასთანავე, პროცესზე პირდაპირი დაკვირვებისა და განმცხადებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ სრულდება.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია „მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.“

სამინისტროს ჯერ არ განუხორციელებია საფრთხეების შეფასება მიგრაციის მართვაში; შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენად არის ადეკვატური ზომები საფრთხეების გასაწინააღმდეგებლად.

მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვის ვალდებულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირებს აღრიცხონ მონაცემთა გამჟღავნების ნებისმიერი

შემთხვევა. ამ დებულებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება აქვს მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზაციისთვის და წარმოადგენს მონაცემთა კანონიერი დამუშავების მონიტორინგის მექანიზმს.

მონაცემთა გადაცემისას, სამინისტრო არ უზრუნველყოფს შემდეგი მონაცემების აღრიცხვას: გამჟღავნებული მონაცემები, მონაცემთა მიმღები, გამჟღავნების დრო და კანონიერი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაცია ვერ განხორციელდება.

სამინისტროში მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საჩივრები არ არის რეგისტრირებული, ასევე არ არსებობს მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრეცედენტი.

3.4.3 რეკომენდაციები

მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მიგრაციის მართვის პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ:

- შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები და ინსტრუქციები სპეციფიურ პროცესებთან და ქვედანაყოფებთან მიმართებაში;
- შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები რომელიც დაარეგულირებენ მონაცემთა დამუშავების პროცესთან დაკავშირებული აქტივების გამოყენებას, მართვას და დაბრუნებას;
- მოახდინოს თანამშრომელთა გადამზადება და ინფორმირება უსაფრთხოების პოლიტიკისა და მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- განსაზღვროს სამინისტროს სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირები;
- შეიმუშაოს ტექნიკური სისუსტეების შეფასების პროცედურები და ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების აღრიცხვის პროცედურები;
- შეიცვალოს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას განცხადების გადაწერის სისტემა; შეიმუშაოს დაცულ გარემოში მუშაობის თაობაზე მოქმედების წესები;
- უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებულობა მონაცემების დამუშავების დროს;
- უზრუნველყოს გამჟღავნების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით;
- გაანალიზოს მონაცემთა დამუშავების დროს წარმოქმნილი საფრთხეები და რისკები. განხორციელოს რისკების შეფასება და მათი შესაძლო გავლენა მონაცემთა სუბიექტის მონაცემთა დაცვის საკითხებზე; განსაზღვროს აღნიშნული რისკების შემცირებისთვის საჭირო ღონისძიებები.

4. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია „საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვლევის ანგარიშის მოკლე მიმოხილვის“ შესახებ

- ანგარიშში მითითებული საზღვრის კვეთის გადაჭარბებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ზოგადად ამ ინფორმაციის მიღება გამომდინარეობს კანონიდან. ნებისმიერი უცხოელი, რომელიც სააგენტოს მიმართავს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში უნდა იმყოფებოდეს ლეგალურად. შესაბამისად, ლეგალურობის გადამოწმება მხოლოდ უცხოელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუძლებელია, რადგან შენგენის პრინციპით ლეგალურად ყოფნის დღეების კალკულაცია შეიძლება მხოლოდ საზღვრის კვეთის ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.
- ანგარიშში მითითებულია, რომ სააგენტოს თანამშრომელი იღებს იმ პირთა შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება არ იყოს განმცხადებელი, მაგრამ ჰქონდეს განმცხადებლის მსგავსი მონაცემები. აღნიშნულ შემთხვევაში პირველ რიგში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დადგინდეს თუ რომელი პროცესი იგილისხმება - ეს გადადარებები ხდება სხვადასხვა პროცესში, სხვადასხვა დროს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაში. თუმცა აღსანიშნავია რომ ყველა პროცესში ეს საკითხი სააგენტოში უკვე განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით და მიღებულია ესეთი გადაწყვეტილება. მონაცემთა ამ სახით დამუშავება იმიტომაცა ამ სახით აუცილებელი, რომ საქართველოში და მრავალ სხვა ქვეყანაში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის სფეროში, ეს მეთოდი ერთერთი საშუალებაა გამოავლინო სავარაუდო გაყალბებები ან დაადგინო ადამიანის ძებნის შესახებ ინფორმაცია. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ ელექტრონული მონაცემთა ბაზების შექმნა არც თუ ისე დიდი ხანია წარმოებს, ამასთან არც თუ გვიანდელ წარსულში პერსონალური მონაცემების გაყალბება ძალიან პოპულარულ საქმიანობას წარმოადგენდა, აღნიშნული მეთოდის გამოყენება, არასწორი მონაცემებით დოკუმენტების გაცემის თავიდან არიდების მიზნით აუცილებელიც კი არის ასეთი მეთოდებით მონაცემების დამუშავება. ამასთან აქ არ არსებობს თანამშრომლის ცდუნების ალბათობა და სისტემა ერთი და იგივე უნიკალური მეთოდით ამუშავებს მსგავს მონაცემებს, ამრიგად თანამშრომელი ამ მეთოდის გამოყენებას ვერ შეძლებს საკუთარი სურვილის შემთხვევაში, სისტემების „ინტერფეისებში“ ეს საშუალებები საერთოდ არ არსებობს. ამასთან მეთოდის შემუშავების პროცესში

სააგენტომ გაითვალისწინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნები მონაცემთა რაციონალურად და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში დამუშავების შესახებ და დაადგინა ისეთი მეთოდი რომელიც მაქსიმალურად მსგავს მონაცემებს ამუშავებს. ამრიგად, სააგენტო არ იზიარებს და ვერ დაეთანხმება ამ მოსაზრებას, მონაცემების გადამეტებით დამუშავების და მისი აუცილებლობის შეუსწავლელობის შესახებ, მით უმეტეს კვლევის დროს არ ყოფილა განხილული კონკრეტულად ამ საშუალების მუშაობის დეტალები.

- ნასამართლეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ვიღებთ სრულად. მართალია, კონკრეტულად ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი ბოლო 5 წლის განმავლობაში ნასამართლეობაა, თუმცა სხვა შემთხვევებში, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად: საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე; საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებაზე; საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე; საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭებაზე; საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭებაზე პირს უარი ეთქმევა, თუ: ა) მას ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ; ბ) იგი მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადამიანის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. აქედან გამომდინარე, სააგენტოს ესაჭიროება სრული ინფორმაცია მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების მსურველი პირის ნასამართლობის შესახებ. იგივე ინფორმაცია არის საჭირო საქართველოდან ემიგრაციის ნებართვის შესახებ განცხადების განხილვისას.
- ანგარიშის მიხედვით, პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვა გარკვეული თვალსაზრისით წარმოებს, თუმცა ის სრულად არ შეესაბამება მე-18 მუხლის მიზნებს. ზოგადად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ორგანიზაციებს ავალდებულებს, ჰქონდეთ რეესტრები, რათა შესაძლებელი იყოს ინფორმაციის მოძიება. ზემოაღნიშნული დასკვნის ჩანაწერი ადასტურებს, რომ ეს საშუალება სააგენტოს გააჩნია, მაგრამ მიუღებელია შენიშვნა იმის შესახებ, რომ აღნიშნული პროცედურა რთულია და ინფორმაცია არ არის მარტივად მოსაპოვებელი. სააგენტო ერთმნიშვნელოვნად ფლობს ასეთ საძიებო საშუალებებს (როგორც საქმისწარმოების პროცესში, ასევე მონაცემთა ბაზიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე) და მისი მოძიების მექანიზმები გარკვეულწილად გართულებულია (კონკრეტულად ამ მონაცემის მოპოვება შესაძლებელია, მხოლოდ მონაცემთა ბაზის ანალიზის შედეგად და არა კონკრეტული მომხმარებლის მიერ), რაც დადებით მოვლენადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული არასანქცირებული წვდომისა და თანამშრომელთა მიერ

უფლებამოსილების გადამეტების თავიდან არიდების უზრუნველსაყოფად. ამასთან, კანონიც არ ავალდებულებს ორგანიზაციებს, შექმნან რამე სახით ცალკე მდგომი რეესტრი, რომელშიც მხოლოდ ეს მონაცემები იქნება შეტანილი.

- სააგენტოში არსებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის მოძრაობის პოლიტიკა“ ასახავს ბიზნესპროცესებს და უზრუნველყოფს ტექნიკის მოძრაობას. ჩვენთვის გაურკვეველია შენიშვნის არსი, კერძოდ კი, ჩვენ არ შეგვექმნა მკაფიო წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს და არ არის ასახული ამ ბრძანებაში. მნიშვნელოვანია, შენიშვნაში მითითებული იყოს კონკრეტული ხარვეზის შესახებ, ვინაიდან სააგენტოში არსებობს სხვა ინდივიდუალური აქტები, რომლებიც არეგულირებს მონაცემთა უსაფრთხოებისა და განადგურების საკითხებს და, შესაძლებელია, ამ კუთხით მნიშვნელოვანი დებულებები მასშია მოცემული.
- ანგარიშში ასევე დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ მონაცემთა სუბიექტს არ მიეწოდება ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ და ასევე ნათქვამია, რომ სამახსოვრო ბარათზე არსებული ტექსტი არ შეესაბამება მე-15 მუხლის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება განცხადების და არა სამახსოვრო ბარათის მეშვეობით, რომელზე ხელმოწერითაც იგი ადასტურებს ინფორმირებულობას.
- სააგენტოში ამჟამად მიმდინარეობს ფაილური კატალოგების განახლება, რომლის შესახებაც უკვე ეცნობა ინსპექტორის აპარატს.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან მიმართებით დასკვნაში მითითებულია, რომ არ არის დადგენილი მონაცემთა დაცვის ოფიცრის სავალდებულო მონაწილეობა, მაგალითად, ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორცაა თანამშრომელთათვის ინფორმაციულ რესურსებზე წვდომის ფარგლების განსაზღვრა და ოფიცერი არ ახდენს მონაცემთა დაცვის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილებების/პროექტების სავალდებულო ვიზირებას. ამ საკითხთან მიმართებით, სააგენტოში დადგენილია ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმადაც ოფიცერი ახორციელებს მონიტორინგს ბრძანებებზე. კონკრეტული წვდომების შემთხვევაში, სააგენტოს მისი ჩართულობა არამართებულად მიაჩნია, ვინაიდან ოფიცერი კონკრეტულ პროცესებში არ უნდა იყოს ჩართული - ყველა თანამშრომელი თანაბრად ვალდებული, დაიცვას კანონის მოთხოვნები. ზოგადად, სისტემა აგებულია და მუშაობს ისე, რომ რისკებზე პასუხისმგებელი პირები თავად აფასებენ საფრთხეებს და მათ აქვთ გათვითცნობიერებული, რომ ამ რისკების არასწორად შეფასების შემთხვევაში, თავად დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ „სააგენტოს მიერ ნებისმიერი ახალი პროექტის, მომსახურების, ინფორმაციული სისტემისა თუ კომპიუტერული პროგრამის დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში, აგრეთვე არსებულთა ცვლილების

პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები. წინასწარ უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი ტექნიკური თუ საორგანიზაციო ზომების გატარება”. თუმცა, არ არსებობს ამ დეკლარირებული მიდგომის განხორციელების ხელშემწყობი ინსტრუმენტები, მაგალითად, შესაბამის მმართველობით პროცესებში მონაცემთა დაცვის ოფიცრის სავალდებულო მონაწილეობა. სააგენტოს ამ შემთხვევაში მიაჩნია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინება არ ნიშნავს უშუალოდ ოფიცრის მონაწილეობას ამ პროცესში. პროცესების მფლობელებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება თავად შეუძლიათ. ამავე კონტექსტში მითითებულია ასევე, რომ სასურველია, ოფიცრის მონაწილეობა სავალდებულო იყოს და მას რეალური ძალაუფლება ჰქონდეს, რაზეც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სააგენტოს მოცულობის მქონე ორგანიზაციაში ოფიცრის ძალაუფლება არ შეიძლება იზომებოდეს პროცესში მონაწილეობის სავალდებულებით მაშინ, როცა მის მიმართ სხვა მრავალი ვალდებულება არსებობს.

ცენტრის მიერ დასკვნის ბოლოში მოცემულია მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები, რასაც სააგენტო ერთმნიშვნელოვნად მიესალმება, მაგრამ გარკვეული საკითხების მიმართ გააჩნია საკუთარი პოზიცია, კერძოდ:

1. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტოში მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, ISO 27001 სტანდარტის შესაბამისად. ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის ვალდებულება სააგენტოს გააჩნია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რადგან იგი წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტს. აღნიშნული სტანდარტი თავის თავში მოიაზრებს ყველა ინფორმაციული აქტივის აღრიცხვასა და მათი კრიტიკულობის დონის განსაზღვრას, რისკების შეფასებასა და ანალიზს, ასევე მათი დაცვის საშუალებების შემუშავებას. ამ ეტაპზე სააგენტო გეგმავს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ძირითად ბიზნესპროცესებზე ამ სისტემის მოქმედების გავრცელებას. უკვე დასრულებულია ორი ბიზნესპროცესის ანალიზი.
2. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიცია ვრცლადაა დაფიქსირებული ზედა აბზაცებში, შესაბამისად, არ გავიმეორებთ.

3. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მონაცემთა ბაზების ახალი სტრუქტურისა და ელექტრონული სერვისის შექმნას (რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი უნდა იყოს მონაცემთა იმგვარი დანაწევრება, რომ მათი მიღება/გაცემა მოხდეს დამმუშავებლის რეალური საჭიროების შესაბამისად), გაცნობებით, რომ აღნიშნული ტიპის სისტემა უკვე შექმნილია გარემომხმარებლებისათვის და მიმდინარეობს მისი დანერგვის პროცედურები.
4. სააგენტოს მიერ კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო მონაცემების დამუშავება ხდება სამართლებრივ ჩარჩოებში. ამ მიზნის მისაღწევად მიმდინარეობს უწყვეტი მუშაობა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან.
5. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიციას, რომ სამართლებრივ აქტებში იმის მოხსენიება, თუ ვის რა მონაცემი ეკუთვნის, არ არის გამართლებული. აღნიშნულის გარეშეც შესაძლებელია და ხორციელდება მონაცემთა დამუშავება და ამ პროცესების გაკონტროლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპების დაცვით.
6. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, კლიენტის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ იდება) (მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) ამ კანონით გათვალისწინებული წესით იდენტიფიკაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემთა ელექტრონული ბაზებით.“ კომერციული ბანკების მონიტორინგს ექვემდებარება რიგი გარიგებებისა და მითითებული კანონი, მათ ან მათი კრიტერიუმების ზუსტ ჩამონათვალს ითვალისწინებს. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად, იმისათვის, რომ ბანკმა პირის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და, შესაბამისად, დამუშავება მოხდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს მონიტორინგს დაქვემდებარებული რომელიმე გარემოება. ბანკებთან დასადებ ხელშეკრულებებში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის დამატება, როგორც დამუშავების ერთ-ერთი საფუძვლისა, შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში, მოხდება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის კონკრეტული მუხლების მითითებაც და მონაცემთა ყოველი

დამუშავებისას ბანკი ვალდებულია, დოკუმენტურად დაასაბუთოს, რომ სახეზეა კონკრეტული საკანონმდებლო საფუძველი. რაც შეეხება შესაბამისი კანონიერი საფუძვლის შექმნას, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას და უფლებამოსილებას, კერძო სტრუქტურებს გაუწიოს რეკომენდაცია, თუ რომელი საკანონმდებლო საფუძველი გამოიყენონ მონაცემთა დამუშავებისას ან როგორ დაგეგმონ შესაბამისი ბიზნესპროცესები. სააგენტო, ბანკებთან ხელშეკრულების დადებისას, სრულად ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვალდებულებებს და მხოლოდ მის მიერ ხელშეკრულებათა მონიტორინგის განხორციელებისას ამოწმებს, დაარღვია თუ არა ბანკმა კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ორგანიზაციათა საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი მითითებების მიცემა სააგენტოს კომპეტენციას არ წარმოადგენს.

7. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიცია ვრცლადაა დაფიქსირებული ზედა აბზაცებში, შესაბამისად, არ გავიმეორებთ.
8. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიცია ვრცლადაა დაფიქსირებული ზედა აბზაცებში, შესაბამისად, არ გავიმეორებთ.
9. სააგენტოში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ყოველწლიურად მტკიცდება ტერიტორიული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების შემოწმების გეგმა. დოკუმენტი ასევე მოიცავს იმ სფეროებსა და მიმართულებებს, რა მიმართულებითაც ხორციელდება მონიტორინგი, უფრო კონკრეტულად კი, მითითებული ბიზნესპროცესები და ამ პროცესებში შემოწმების ფარგლები. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი მიმართულებაა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და შეფასება.